საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი

29.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM)მთავარი მკვლევარი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ლევან მეტრეველი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით გელოვანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ელისაბედ ბალიშვილი - შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლელა თვარაძე - შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;
თეა მაჭავარიანი - შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
თამარ გიორგობიანი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსი;
ირაკლი გიორგობიანი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორი;
დავით ჩერქეზიშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი;

შალვა მაჭავარიანი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ხათუნა ბარბაქაძე - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ლელა აფციაური - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

თამარ გაიხარაშვილი;
გოჩა თუთბერიძე;
კონსტანტინე თუფფურია;
მაია გონაშვილი;
ეკატერინე ბაკარაძე;
გიორგი გვალია;
ტარიელ სიხარულიძე;
ჯამლეტ ჯანჯღავა;
ია ნაცვლიშვილი;
ციური დურული;

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:24 საათზე.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მაგდა მაღრაძე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თერთმეტი საკითხის ნაცვლად საბჭო განიხილავდა ცხრა საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დღის წესრიგის შეცვლის საფუძველს წარმოადგენდა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის მიერ 2016 წლის 27 ივლისს წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც დაწესებულება ითხოვდა სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, საბჭო აღნიშნულ საკითხს აღარ განიხილავდა.

ასევე, დღის წესრიგით გათვალისწინებული შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა მოხდებოდა შემდეგ სხდომაზე, ვინაიდან აკრედიტაციის ექსპერტები ვერ ახერხებდნენ 29 ივლისის სხდომაზე გამოცხადებას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა გოჩა თუთბერიძემ და თამარ გაიხარაშვილმა.

- რეკომენდებული იყო პროგრამაში კარგად ასახულიყო ფრანგული მხარის მონაწილეობა, დაფიქსირებულიყო ხელშეკრულებით დადგენილი ურთიერთობა, კერძოდ პროგრამის განხორციელებაში გრენობლის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიის პერსონალის მონაწილეობის და UniMan-ის მატერიალური რესურსის გამოყენების შესახებ. ასევე ხელშეკრულებაში მითითებულიყო („ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი") და წარმოდგენილი სამაგისტრო (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა) პროგრამების სახელწოდებები დაკორექტირებულიყო და მოსულიყო შესაბამისობაში;
- რეკომენდებული იყო პროგრამის თანდართულ სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტები ჩაიშლილიყო საკონტაქტო, დამოუკიდებელი მუშაობისა და გამოცდების ჩაბარებისთვის გათვალისწინებულ საათებად. პროგრამას სასურველი იყო თან დართოდა სწავლის შედეგების რუქა და წინაპირობების მატრიცა;
- რეკომენდებული იყო რიგი სილაბუსების სწავლის შედეგების ნაწილში ზოგადი კომპეტენციების დასახელებები დაკორექტირებულიყო და შესაბამისობაში მოსულიყო ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;
- რეკომენდებული იყო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად მითითებულიყო გამოცდა არა ზოგადად უცხო, არამედ კონკრეტულად ინგლისურ ენაში და დაკონკრეტებულიყო ცოდნის დონე, რადგან სხვა შემთხვევაში მაგისტრანტი აღნიშნულ პროგრამაზე სწავლას ვერ შეძლებდა;

- რეკომენდებული იყო წინაპირობების გადახედვა და დაზუსტება, მხოლოდ იმ სასწავლო კურსის/კურსების მითითება, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო ამათუიმ საგნის ასათვისებად;

- რეკომენდებული იყო პროგრამაში და სილაბუსებში სტუდენტის შეფასების ნაწილში გაკეთებულიყო ჩანაწერი - დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის 10 დღიანი ინტერვალის შესახებ, ასევე ტერმინი „საბოლოო გამოცდა" ჩანაცვლებულიყო „დასკვნითი გამოცდით";

- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დაკონკრეტებულიყო თითოეულ კომპონენტში შეფასების ჯერადობა, ასევე გაკეთებულიყო ჩანაწერი ქულების გრადაციის შესახებ, ტესტირებული გამოცდის შემთხვევაში კი მითითებულიყო ტესტში შეკითხვების რაოდენობა და თითოეული შეკითხვისთვის განკუთვნილი ქულა;

- რეკომენდებული იყო პროგრამას დანართად ჰქონოდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;

- რეკომენდებული იყო პროგრამაში გასწორებულიყო უზუსტობა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ შესაბამისობაში მოსულიყო ჩანაწერები: სამაგისტრო ნაშრომი ითვლებოდა დაცულად ნაშრომის 21 და მეტი ქულით შეფასების შემთხვევაში და 20,4-24 ქულა (51-60%) დამაკმაყოფილებელ ნაშრომად;

- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ყოფილიყო ინფორმაცია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულტაციების შესახებ.

- პრაქტიკა მოცულობით 10 კრედიტი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მე-8 სემესტრში, მასზე დაშვების წინაპირობა იყო ,,სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონოდა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნები მეშვიდე სემესტრის ჩათვლით". მისი განცხადებით, სასურველი იყო აღნიშნულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად მითითებულიყო მხოლოდ ის რამდენიმე დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელი იყო პრაქტიკის კომპონენტზე დაშვებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მეტრეველმა განაცხადა, რომ საბჭოს სხდომის დანიშვნის შესახებ დაწესებულებას ეცნობა მხოლოდ ერთი დღით ადრე და დასკვნის გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ მხოლოდ საბჭოს სხდომის დღეს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული. მისი თქმით, სილაბუსებში კრედიტების ჩაშლის ნაწილი პროგრამაშიც იყო გასწორებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ცალკე სამაგისტრო ნაშრომისთვის არ ჰქონდათ სილაბუსი გათვალისწინებული, რადგან ხელმძღვანელობდნენ შესაბამისი დებულებით, თუმცა, ექსპერტების მიერ შემუშავებულ ამ კონკრეტულ რეკომენდაციასაც გაითვალისწინებდნენ.

ლევან მეტრეველმა განაცხადა, რომ ორი წლის წინ ანალოგიურ ინგლისურენოვან პროგრამაზე დასჭირდათ იგივე პროცედურის ჩატარება. ინგლისურენოვანი პროგრამა გათვალისწინებული იყო უცხოელი სტუდენტებისთვის. ეს იყო დაწესებულების მხრიდან მარკეტინგული სვლა. მისი თქმით, ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის ღირებულება იყო გაცილებით მაღალი და არ იყო ხელმისაწვდომი ქართველი სტუდენტებისთვის. შესაბამისად, სწორედ ზემოაღნიშნული საკითხი იყო მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ქართულენოვანი პროგრამა. მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა აკადემიური პერსონალიდან, თუ რამდენი იყო დოქტორის ხარისხის მქონე და პროცენტულად როგორ იყო გადანაწილებული მოწვეული და აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ აკადემიური პერსონალი შედგებოდა შვიდი დოქტორის ხარისხის მქონე პირისგან. ლევან მეტრეველის განცხადებით, პერსონალის შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საერთაშორისო გამოცდილებას.

საბჭოს სხდომაზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ გაიხარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო კონცეპტუალურად სწორად და გამართულად ჩამოყალიბებული.

სხდომის თავმჯდომარემ პროგრამის წარმომადგენლებს ჰკითხა ჰყავდათ თუ არა სტუნტები ინგლისურენოვან პროგრამაზე. ლევან მეტრეველის განცხადებით, ამ ეტაპზე ინგლისურენოვან პროგრამას არ ჰყავდა სტუდენტები, თუმცა, მისი თქმით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ორ პარტნიორთან შრილანკაში და ინდოეთში და წელს უკვე მიღებული ჰქონდათ რამოდენიმე განაცხადი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ეკატერინე ბაკარაძემ.

- სასურველი იყო ინგლისური ლიტერატურის სილაბუსებში (მაგ.შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია, ახალი და უახლესი ინგლისის ლიტერატურის ისტორია) სარეკომენდაციო ლიტერატურად მითითებულიყო განსახილველი ნაწარმოებები ორიგინალის ენაზე;
- სასურველი იყო რიგ სილაბუსებში, მაგ: ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა, ენათმეცნიერების შესავალი და ლიტმცოდნეობის შესავალი, სარეკომენდაციო ლიტერატურას მოეცვა ბრიტანელი და ამერიკელი მეცნიერების თანამედროვე შრომები;
- სასურველი იყო სასწავლო უნივერსიტეტს უზრუნველყოფა მოეხდინა აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ეტაპობრივი ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა თუ ვის ამზადებდნენ აღნიშნულ პროგრამაზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებდა ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტებს, ინგლისური ენის თარჯიმნებს და ინგლისური ენის სპეციალისტებს.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა პროგრამას თუ ჰყავდა კურსდამთავრებული.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამას არ ჰყავდა კურსდამთავრებული. მისი თქმით, ამჟამად პროგრამაზე ირიცხებოდა ათი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომლებიც მობილობის წესით იყვნენ გადასულები.

მაგდა მაღრაძემ ექპერტს ჰკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ეკატერინე ბაკარაძის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა შესაბამისობაში იყო დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას იძლეოდა. ექსპერტის თქმით, ვიზიტის მიმდინარეობისას დადასტურდა, როგორც, ზოგადად დაწესებულების აუდიტორიების და ბიბლიოთეკის შესაბამისობა სტანდარტებთან, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობა. ექსპერტის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა ლინგაფონის კაბინეტები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რა იყო მოტივი ამ პროგრამის დაწყების და ჰქონდათ თუ არა გამოკვლეული შრომის ბაზრის მოთხოვნები. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების შემდეგ აქცენტი გაკეთდა ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით. მისი განცხადებით, აღნიშნულ პროგრამაზე საკმაოდ დიდი იყო სტუდენტთა მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ პროგრამაზე. ასევე, მისთვის გაუგებარი იყო 5 კრედიტის მინიჭება ისეთი საგნისთვის როგორიც იყო თარგმანი და ასევე 5 კრედიტის მინიჭება ისეთი საგნისთვის როგორიც იყო დიდი ბრიტანეთის მონარქები. მისი მოსაზრებით, სტუდენტის დატვირთა ამ ორი სასწავლო კურსისთვის არ იქნებოდა იდენტური. დაწესებულების წარმოამდგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა რომ დიდი ბრიტანეთის მონარქები იყო არჩევითი საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ როგორ იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ პროგრამა ოთხი პროფესორი იყო მოწვეული, დანარჩენი იყო აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპირებდნენ 50 სტუდენტის მიღებას .

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს გააცნეს ექსპერტმა კონსტანტინე თოფურიამ და მაია გონაშვილმა.

- მიზანშეწონილი იყო სასწავლო გეგმას დამატებოდა ერთი გრაფა, სადაც მითითებული იქნებოდა ამა თუ იმ საგნის წინაპირობა, რაც უფრო გაუადვილებდა სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას.
- რეკომენდირებული იყო ზოგიერთ საგანს წინაპირობად ჰქონოდა მითითებული ის საგანი, რომელიც უშუალოდ მის წინაპირობას წარმოადგენდა. კერძოდ, ექპერტის განცხადებით, რადგან კორპორატიული ფინანსების ძირითად ლიტერატურაში თემების კვირების მიხედვით განაწილებაში მითითებული იყო ინგლისურ-რუსულ-ქართული სავალდებულო ლიტერატურა, სასურველი იყო, წინაპირობად განსაზღვრულიყო როგორც ზემოაღნიშნული ენები, ისე ამ ენების ცოდნის გარკვეული დონე. რადგან, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა იყო რომ პროგრამით გათვალისწინებულიყო სასწავლო კურსები (210 ECTS) და აქ დამატებოდა სავალდებულო, რადგან კრედიტი არჩევითი საგნებითაც შესაძლებელი იყო რომ დაეგროვებინათ.
- რეკომენდირებული იყო ფინანსების მოდულში ეკონომეტრიკის ნაცვლად საგნის სახელი ყოფილიყო ფინანსური მათემატიკა ან დამატებოდა.
- სასურველი იყო, ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმებულიყო თემების და მასალების თანმიმდევრობა, ზოგიერთი საგნის თემატიკა დახვეწილიყო და უფრო დეტალურად ყოფილიყო აღწერილი, რათა არ მომხდარიყო თემების მიხედვით საკითხების გამეორება. ექსპერტის განცხადებით, ფინანსების საფუძვლებში პირველი თემა და ფინანსური მენეჯმენტის თემა ერთიდაიგივე იყო. მენეჯმენტის საფუძვლების, ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ. მსგავსი იყო „ლიდერობის" სილაბუსში. მე-13 კვირაში მოტივაციის თემაში ასწავლიდნენ კარიერის დაგეგმვა-განვითარებას. ასევე, ექსპერტის განცხადებით, ამ თემაში განხილული იყო

საკითხები: ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, როგორ უნდა დავამყაროთ საქმიანი და წარმატებული კონტაქტები ადამიანებთან, დარწმუნების ხელოვნება და როგორ შევიძინოთ მეგობრები და როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება მათზე. კონსტანტინე თოფურიას განცხადებით, საკითხების გარკვეული სახის გადაფარვას ადგილი ჰქონდა ინვესტიციების მართვის, კორპორაციის ფინანსების, ფინანსების საფუძვლების და ფინანსების მენეჯმენტის კურსებშიც. ასევე, ინვესტიციების მართვა მოიცავდა მაკროეკონომიკის საკითხებს, ხოლო ფინანსების საფუძვლები ითვალისწინებდა ფინანსების თეორიის კურსის საკითხებს, რაც არ წარმოადგენდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამის კურსს.

- რეკომენდირებული იყო სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულიყო ის მასალა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა საგნის შესწავლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბუნებრივია შედეგის მიღწევა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ასევე დაზუსტებას მოითხოვდა ზოგიერთი სასწავლო კურსის კომპეტენციაც

- ექსპერტის გაცხადებით, ბევრ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებდა დახვეწას. კერძოდ, სხვადასხვა საგნებში შეფასების კრიტერიუმების ქულები ბუნდოვანი იყო, მაგ: საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტში ეწერა, რომ 13-15 ქულა იწერებოდა, როდესაც 13-15 ქულა შესრულებული იყო სამუშაოს ყველა ნაწილი. არჩეული თემა იყო მეტად აქტუალური. გამოყენებული იყო სამეცნიერო ლიტერატურის როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურა, რაც გაუგებარი იყო თითოეული ქულა როგორ უნდა განესხვავებინა ლექტორს, (ანუ რომელ სტუდენტს უწერდა 13-ს, რომელს 14-ს და რომელს 15-ს არ იყო ნათელი, რადგან სამივეს ერთნაირი განმარტება ჰქონდა).

- რეკომენდირებული იყო ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსი ძირითადი და/ან დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი შეივსებულიყო მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოებით.

- სასურველი იყო დაწესებულებას გაეძლიერებინა საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. რეკომენდირებული იყო დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს განუცხადა, რომ სასურველი იყო, უფრო მკაფიოდ გამიჯნულიყო შენიშვნები და რეკომენდაციები ერთმანეთისგან. კოკა თოფურიას განცხადებით, მის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ძირითადად მოიცავდა რეკომენდაციებს, რომლებიც დაწესებულებას შეეძლო ან გაეთვალისწინებინა, ან არა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გადიოდა რიგით მესამედ და დაწესებულების წარმომადგენელს, არსებითად სურდა რომ ყველა რეკომენდაციაზე გაეცა პასუხი. მისი განცხადებით, სასურველი იყო რომ ექსპერტებს გრამატიკულად გამართულად დაეწერათ დასკვნა. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა ყურადღება გაემახვილებინა არსებით საკითხებზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმოდგენილ პროგრამას თან ახლდა ოთხი დანართი. პირველი დანართი მოიცავდა აკადემიური პერსონალის ჩამონათვალს, თუ რამდენი ასოცირებული და რამდენი ასისტენტ-პროფესორი ახორციელებდა ამ პროგრამას. მეორე დანართი მოიცავდა სასწავლო გეგმას, მესამე დანართი - სასწავლო კურსების სემესტრების მიხედვით განაწილებას, მეოთხე დანართი - საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების შეფასების რუქას. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სასწავლო გეგმაში მითითებული იყო სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. დაწესებულების წარმომადგენლების ვარაუდით, ექსპერტებმა შესაძლოა პროგრამის დანართებში ვერ ნახეს აღნიშნული ინფორმაცია. აღნიშნულის

დამადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს საგანმანათლებლო პროგრამის ის დანართი, სადაც მითითებული იყო სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. მიუხედავად ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ მათ ხელახლა დაამტკიცეს პროგრამა, სადაც მესამე დანართს დაამატეს ცარიალი ველი და მიუთითეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან ფაქტების გარკვეული სახის დამახინჯებას ჰქონდა ადგილი, კერძოდ სასწავლო უწყისში კორპორატიული ფინანსები, სავალდებულო ლიტერატურად არ იყო მითითებული, არც ინგლისური და არც რუსულენოვანი ლიტერატურა. წარმოდგენილი სილაბუსის სავალდებული ლიტერატურაში, მითითებულია ერთადერთი ქართულენოვანი სახელმძღვანელო, ხოლო რაც შეეხება რუსულენოვან და ინგლისურენოვან ლიტერატურას მითითებული არის მხოლოდ დამატებით ლიტერატურაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება სილაბუსებში მითითებული ძირითადი ყველა სახელმძღვანელო და დამატებითი ლიტერატურის დაახლოებით 70 პროცენტი, ამიტომ მიუთეთეს დამატებით ლიტერატურაში რუსულ და ინგლისურენოვანი წიგნები.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულება ვერ გაითვალისწინებდა ექსპერტთა იმ შეფასებას, რომლის მიხედვითაც საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას დამატებოდა სიტყვა - სავალდებულო. მისი განცხადებით, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შედგება სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი მოდულებისგან. სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში ორმოცი კრედიტის მოცულობით შეუძლიათ აირჩიონ ფინანსების, მენეჯმენტის და ტურიზმის მოდულები და ამ მოდულებში შემავალი სასწავლო კურსები, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, მოახდინონ თავიანთი ინდივიდუალური პროფილის დამოუკიდებლად ფორმირება და ასევე გაიღრმავონ უნარები საკუთარი ინტერესების შესაბამისად. მისი განცხადებით, სტუდენტს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში არსებობს სამი არჩევითი მოდული. დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ დაწესებულებამ საჭიროდ ჩავთვალა, რომ ის სტუდენტი რომელიც აირჩევს ტურიზმის მოდულს, საბაკალავრო ნაშრომს გააკეთებს ტურიზმის მიმართულებით, თუ აირჩევს მენეჯმენტის მოდულს საბაკალავრო ნაშრომს გააკეთებს მენეჯმენტის მიმართულებით და ასევე, თუ აირჩევს ფინანსების მოდულს საბაკალავრო ნაშრომს გააკეთებს ფინანსების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოდულები არჩევითია, ამ სამი მოდულიდან ერთ-ერთის არჩევა იყო სავალდებულო, რადგან, სხვანაირად, სტუდენტი ვერ დააგროვებდა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობას - 240 კრედიტის მოცულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი აზრით, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაა 210 კრედიტის მოცულობით სწორადაა განსაზღვრული, ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ვერ გაითვალისწინებდა ექსპერტების რეკომენდაციას, როგორც ის იყო წარმოდგენილი.ამასთან, გასათვალისწინებელი იყო, რომ პროგრამაში 210 კრედიტის მოცულობით სავალდებულო სასწავლო კურსები უბრალოდ არ არსებობდა, ამიტომ ვერ მოხერხდება ამ რეკომენდაციის გათვალისწინება. საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდული არის 40 კრედიტი, MAJOR პროგრამა სავალდებული სასწავლო კურები ბიზნესის ადმინისტრირებაში არის 110 კრედიტი, საბაზო არჩევითი სასწავლო კურსები არის 25 კრედიტი, რაც ჯამში გამოდის, რომ major პროგრამა არის 135 კრედიტი. თითოეული მოდული იყო 40 კრედიტიანი. .

საბჭოს წევრის ნათელა სახოკიას განცხადებით, რიგით მესამე რეკომენდაცია საერთოდ გაუგებარი იყო მისთვის. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მათთვისაც ბუნდოვანი იყო მესამე რეკომენდაცია. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება არასწორად იყო მითითებული.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში საუბარი იყო ეკონომეტრიკის საფუძვლებისთვის სახელწოდების შეცვლაზე, რასაც არ იზიარებდნენ.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები არ იყო სავალდებულოდ გასათვალისწინებელი და შესაბამისად ეს იყო დაწესებულების ნება გაითვალისწინებდა თუ არა მათ. კონსტანტინე თოფურიამ აღნიშნა, რომ გადმოცემით, რამდენადაც მას ახსოვს კურსის სახელწოდება იყო ფინანსური მათემატიკის კურსი და არა ეკონომეტრეკის კურსი. შესაბამისად, შინაარსობრივადაც ფინანსური მათემატიკის სახელწოდება უფრო ერგებოდა და სწორედ ამიტომ გასცეს ეს რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა სიტყვა, მისი გადმოცემით, ეკონომეტრიკის საფუძვლების სასწავლო კურსი გაწერილი იყო ბოცვაძის წიგნით, ეკონომეტრიკით. ამიტომ, ვერანაირად ვერ იქნებოდა შინაარსობრივად ფინანსური მათემატიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, რომ განემარტა დასკვნიდან 1.2 პუნქტში მოცემული გარემოებები. ექსპერტის განმარტებით, პროგრამაში არ იყო ცხადი არსებული მოდულების (რომლიდანაც ერთის არჩევა სავალდებულოა და მაქსიმუმ 40 კრედიტისგან შედგება) რეალური შინაარსი. მოდულების მიხედვით არ ხდებოდა სპეციალიზაციის მინიჭება და რეალურად მათ მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა გააჩნდათ, ანუ სასწავლო კურსები კლასიფიცირებული იყო ტურიზმის, მენეჯმენტის და ფინანსების კატეგორიების მიხედვით, რათა სტუდენტს გაადვილებოდა იმის დადგენა, თუ რომელი კურსი შინაარსობრივად ზემოთხსენებულ რომელ კატეგორიას განეკუთვნებოდა. ასეთ შემთხვევაში ზოგან დარღვეული იყო კურსების კატეგორიის შესაბამისად ჩალაგების პრინციპი, რაც სტუდენტს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა, კერძოდ: მენეჯმენტის მოდულში მოთავსებული იყო შინაარსობრივად მარკეტინგის კატეგორიის ისეთი კურსი, როგორიც იყო რეკლამა და სტიმულირება.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა დაწესებულების წარმომადგნელს მიმართა თუ რამდენი კრედიტი ჰქონდა ძირითად სპეციალობას, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ძირითად სპეციალობას ჰქონდა 135 კრედიტი, საუნივერსიტეტო მოდულის გარეშე. აქვე, განმარტა რომ საუნივერსიტეტო მოდული იყო 40 კრედიტიანი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ერთადერთ სასწავლო კურსზე, რომელზეც იყო ლაპარაკი ეს არის რეკლამა და სტილირება და ვაღიარებ რომ ეს სასწავლო კურსი არის მარკეტინგის საგანი, სანამ რეკლამას და სტილირებას ისწავლის სტუდენტი, საბაზისო სავალდებულო მოდულში, უკვე განვლილი ექნება მარკეტინგის საფუძვლები, სწორედ ეს არის წინაპირობა ამ საგნის.

კონსტანტინე თოფურიას განცხადებით, გაურკვეველია მოდულის შინაარსი, მაშინ როდესაც დაწესებულების წარმომადგენელი აცხადებს, რომ მენეჯმენტის მოდული არ არის სპეციალობის მისანიჭებლად და უბრალოდ გაკეთდა საკმარისი კატეგორიზაციისთვის. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული მოსაზრება მისთვის იყო გაუგებარი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, ყოფნის თუ არა მათემატიკის კურსი და მეორე როგორ არის საათები განაწილებული მათემატიკის საგნებზე. მისი მოსაზრებით, საბჭოს მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა არ იყო ყოველთვის საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტს მიეღწია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებისთვის..

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ პროგრამაში დიდი დოზით იყო წარმოდგენილი მათემატიკური ნაწილი. მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის კვირაში ისწავლებოდა 4 საათი და მოიცავდა 5 კრედიტს, გარდა ამისა, ისწავლებოდა მათემატიკის სტატისტიკა ასევე 5 კრედიტის მოცულობით. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარე მდგომარეობდა სწორედ მათემატიკური ნაწილის გაზრდით.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, ჰყავდათ თუ არა საკმარისი აკადემიური პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების წარმოდგენილ პროგრამას ჰყავდა 5 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი და 12 ადამიანი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტიდან ჩართული პროფესორები.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, რომ დაესახელებინა არსებითი ხასიათის ხარვეზი. კონსტანტინე თოფურიას განცხადებით, ხშირად ადგილი ჰქონდა სახელმძღვანელო ლიტერატურის გამეორებას, რაც თავისთავად იწვევდა სხვადასხვა სასწავლო კურსებში საკითხების შინაარსობრივი გადაფარვას.

საბჭოს თავმჯომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ აღნიშნულ პროგრამაზე, სად გაივლიდნენ სტუდენტები სტაჟირებას და ასევე, თუ არსებობდა მემორანდუმი რომელიმე დაწესებულებასთან და რა სახის სპეციალისტებს ამზადებდა აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს მემორანდუმები გაფორმებული ჰქონდა შემდეგ დაწესებულებებთან: საქართველოს ბანკი, სახელმწიფოს მხრიდან აუდიტორიული და ტურისტული კომპანიები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა ჯამლეტ ჯანჯღავამ და მაია გონაშვილმა საბჭოს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები:

- რეკომენდირებული იყო მისაღები გამოცდის წინაპირობას დამატებოდა მეოთხე საგნის ჩაბარების აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია და დაკონკრეტებულიყო რა საგნები ბარდებოდა.
- რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმებულიყო თემების და მასალების თანმიმდევრობა, ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და უფრო დეტალური აღწერა, რომ არ მომხდარიყო თემების მიხედვით საკითხების განმეორება (მაგ. ბიზნესის საფუძვლები, მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები, მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა), ხოლო ზოგიერთ საგანში თემების გამოტოვება (მაგ. მიკროეკონომიკაში კონკურენციის მეოთხე სახის - მონოპოლისტური კონკურენციის არ განხილვა; მენეჯმენტის საფუძვლებში კონფლიქტებისა და სტრესების მართვა).
- სასურველია იმ საგნებში, სადაც ერთი და იგივე სახელმძღვანელოა მითითებული ძირითად ლიტერატურაში თემებისა და გვერდების მითითება; (მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის საფუძვლები).
- რეკომენდირებულია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა, (მაგ. საერთაშიროსო ვაჭრობის ძირითადი ლიტერატურაა ინგლისურად საერთაშიროსო ვაჭრობის სამართალი, ხოლო ქართულად ამ საგნის სწავლების სავალდებულო ლიტერატურაც იგივე ინგლისურენოვანი წიგნია და ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. სასურველია მეტი დამატებითი ლიტერატურის შეთავაზება (მაგ. მაკროეკონომიკის საფუძვლები).
- რეკომენდირებული იყო საგნების სემესტრულ გადანაწილების დალაგება, კერძოდ, ვერ ისწავლებოდა მე-4 სემესტრში ფინანსური აღრიცხვა ბანკებში (კონკრეტული) და მხოლოდ შემდეგ მე-5 სემესტრში ისწავლებოდა ფინანსური აღრიცხვა (ზოგადი); არჩევით მოდულში

ორჯერ ეწერა გადასახადები და დაბეგვრა-ერთი სემესტრში , თუ ორ სემესტრიანია საგანი უნდა გამიჯნულიყო ან თუ ტექნიკური იყო მაშინ შესწორებულიყო.

- სასურველია ინგლისური ენა 0, რომელიც A1 და A2 დონეს აერთიანებს და არის ერთ სემესტრში 5 კრედიტი ან გაიმიჯნოს ან გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა, ინგლისური ენის შესწავლის საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე.

- რეკომენდირებულია მოდულების საგნების შესწავლის სემესტრების დაზუსტება, რადგან თითოეულ მოდულში შეთავაზებული საგნების წინაპირობა თითქმის ერთნაირია, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ერთ სემესტრში აირჩიოს ყველა საგანი, რომელთაც ხშირად ერთი ლექტორი ასწავლის.

- რეკომენდირებულია ზოგიერთი სილაბუსის კომპეტენციების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, სასწავლო კურსის „მაკროეკონომიკის პრინციპების სილაბუსის ღირებულებებში ვკითხულობთ „აცნობიერებს მაკროეკონომიკის პრინციპებს, ასევე რისკოლოგიაში-ღირებულებებში - „ მეთოდების გამოყენებით ამცირებს რისკებით გამოწვეულ ზარალს".

- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევისთვის საგნების განლაგება და შეთავაზების ოპტიმიზაცია მოდულებისა და სტრუქტურის მიხედვით კერძოდ, სასურველი იყო „ფინანსური მენეჯმენტი" „ოპერაციების მენეჯმენტი", ხოლო საინჟინრო ფსიქოლოგიის ნაცვლად ისწავლებოდეს ბიზნესის ფსიქოლოგია. ასევე რეკომენდირებულია და უნდა გაძლიერდეს სპეციალობის არჩევითი საგნები ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით საგნებით (შეთავაზებული 15 საგნიდან მხოლოდ სამი საგანი იყო სპეციალობის და დანარჩენი კი ეკონიკის მიმართულების, მაშინ როდესაც 30 კრედიტის 6 საგნის არჩევის უფლება ჰქონდა სტუდენტს).

- რეკომენდირებულია ზოგიერთი სილაბუსში წინაპირობების დაკონკრეტება. კერძოდ, ფინანსური მენეჯმენტი-წინაპირობაში მითითებული - 1.1.5 ასეთი ნომრიანი/კოდიანი საგანი საერთოდ არ ისწავლება, არ არის პროგრამაში, ასევე პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი წინაპირობის გარეშე იყო და სასურველი იყო მითითებოდა თუნდაც სავალდებულო კრედიტების გარკვეული რაოდენობა. ასევე ალბათობის თეორიის წინაპირობა იყო მათემატიკის არასრული ცოდნა (ანუ მათემატიკა 1), უნდა ყოფილიყო მათემატიკა 2. უკვეთესი იქნებოდა ბიზნესის საფუძვლები ყოფილიყო ბიზნეს სამართლის წინაპირობა, საერთაშორისო ვაჭრობა მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო და წინაპირობის გარეშე (თუნდაც ინგლისური ენის შესაბამისი დონის მითითება), საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების წინაპირობა მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა, მაშინ როდესაც მიკროეკონომიკა ისედაც იყო მაკროეკონომიკის წინაპირობა.

- სასურველი იყო საგნების წაკითხვისას ზოგიერთ პროფესორს ჰქონოდა შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება ან სამეცნიერო პუბლიკაციები.

- რეკომენდირებულია რომ საგნების წაკითხვისას ზოგიერთ პროფესორს ჰქონოდა შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება ან პუბლიკაციები.

- სასურველი იყო დახვეწილიყო გამოცდის ან შუალედურის შესახებ არსებული ინფორმაციები სილაბუსში. კერძოდ, მითითებული იყი გამოცდა 3 ბილეთი, / 10 ბილეთი - თუმცა გაურკვეველია წერითი გამოცდა იყო ზეპირი და ასევე რამდენი სტუდენტი აბარებდა და იღებდა ბილეთს.

- სასურველი იყო კონსულტაციების ვალდებულება ხელშეკრულებით ყოფილიყო გაწერილი.

- რეკომედირებული იყო მეორე უცხო ენის შესწავლის შეთავაზება, როდესაც აკადემიას ჰქონდა ამის რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების განცხადებით, რიგი საკითხები იყო მექანიკური შეცდომების სახის და ამიტომ

მოკლე ვადაში მოახერხეს მათი გამოსწორება. შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა თუ რა იყო მიზანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნის და რა განასხვავებდა მას სხვა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლებისგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ყველანაირი ადამიანური და მატერიალური რესურსი ჰქონდათ იმისთვის რომ ბაზარზე დაწესებულება ყოფილიყო მოწინავე პოზიციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტებმა გიორგი გვალიამ და ტარიელ სიხარულიძემ საბჭოზე წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები.

- პროგრამა ითვალისწინებდა დამატებითი არჩევითი უცხო ენის სწავლებას კვირაში სამი საათის დატვირთვით 4 სემესტრის ხანგრძლივობით. ექსპერტების შეფასებით, კვირაში სამ საათიანი დატვირთვის პირობებში რთული იქნებოდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა (B1.2). სასურველი იყო ენის პრაქტიკული კურსების საკონტაქტო საათების გაზრდა;
- დაწესებულებაში ხელმისაწვდომი იყო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებული ლიტერატურა. ამავდროულად, ექპსერტების შეფასებით, დაწესებულების არსებული საბიბლიოთეკო რესურსი იყო მწირი და სასურველი იყო სფეროსთვის რელევანტური დამატებითი ლიტერატურის შეძენა, რაც სტუდენტებს მისცემდა შესაძლებლობას გაეღრმავებინათ არსებული ცოდნა;
- სასურველი იყო დაწესებულებას გაეფართოებინა საბიბლიოთეკო სამკითხველო სივრცე;
- სასურველი იყო საგნის „შესავალი პოლიტოლოგიაში" სახელწოდება შეცვლილიყო შემდეგი რედაქციით: „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში"
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები" იყო ზედმეტად დესკრიფციული და ძირითადად ცალკეული ორგანიზაციების სტრუქტურების აღწერას და შესწავლას ეთმობოდა. სასურველი იყო აღნიშნულ კურსში დესკრიპციულ ნაწილთან ერთად ყურადღება გამახვილებულიყო ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო : საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჭრილში და ა.შ.

- სასწავლო კურსში „შესავალი პოლიტოლოგიაში“ ლიტერატურა საჭიროებდა განახლებას. ასევე, საჭირო იყო ამავე კურსის მიზნების კურსის თემატიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, კურსის მიზნებში საუბარი, იყო რომ სტუდენტები გაეცნობოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, თუმცა კურსის თემატიკა არ ეხებოდა აღნიშნულ თემატიკას;

- სასწავლო კურსში „რუსეთის ევრაზიული პოლიტიკა“ ლიტერატურა მოძველებული იყო. სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა გამოცემული იყო გასული საუკუნის მიწურულს, რაც ბუნებრივი იყო რომ ვერ ასახავდა თანამედროვე ტენდენციებს. სასურველი იყო აღიშნულ კურსზე განეახლებინათ სავალდებულო ლიტერატურა.

- სასწავლო კურსში „გლობალიზაცია“ თემატიკის თანმიმდევრობა არალოგიკური იყო . მაგალითად საკითხი „რა არის გლობალიზაცია“ განხილული იყო მე-9 ლექციაზე, მაშინ როდესაც აღნიშნული საკითხის განხილვა კურსის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ საკითხების თანმიმდევრობა შეცვლილიყო;

- სასწავლი კურსი „ეროვნული უშიშროების სისტემების ინფორმაციული უზრუნველყოფა“ მიზნად ისახავდა იმგვარი დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას, რომელიც შეუძლებელი იყო მომხდარიყო არსებული რესურსების ფარგლებში. შესაბამისად, სასურველი იყო, აღნიშნული კურსით განსაზღვრულ მიზნებზე გასვლის შესაძლებლობის შეფასება და კურსის შესაბამისად დაკორექტირება;

- ცალკეულ სასწავლო კურსებში გამოყენებული იყო ქართულენოვანი ლიტერატურა, ჩვენი შეფასებით, სრულად ვერ პასუხობდა დარგის აქტუალურ და თანამედროვე თემატიკას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ პროგრამაში უფრო მეტი აქცენტი გაკეთებულიყო ინგლისურენოვანი უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენებაზე ქართულენოვანი რესურსების პარალელურად;

- სასურველი იყო პროგრამაში გათვალისწინებულიყო პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების სწავლება;

- მნიშვნელოვანი იყო, რომ ძირითადად ყველა სილაბუსის ფორმატი ერთი და იგივე სქემით იყო აწყობილი:

კურსის ხანგრძლივობა;

ლექცია;

ჯგუფური მუშაობა;

რეფერატი/შემაჯამებელი მეცადინეობა;

შუალედური.

- მცირე განსხვავება იყო საათობრივ დატვირთვაში, მაგრამ აქაც სილაბუსები შეიძლება დაჯგუფებულიყო ორ კატეგორიად-სილაბუსები სადაც ლექციას ეთმობოდა 28 საათი და ჯგუფურ მუშაობას 14 საათი და სილაბუსები სადაც ლექციას ეთმობოდა 14 საათი და ჯგუფურ მუშაობას 28. ექსპერტების აზრით, ეს კომპონენტები უნდა ყოფილიყო თავად პროფესორის მიერ განსაზღვრული კურსის მოთხოვნებიდან, საჭიროებებიდან და სწავლის მეთოდებიდან გამომდინარე. არ იყო აუცილებელი ყველა კურსში აღნიშნული ყოფილიყო ჯგუფური მუშაობა, რეფერატი, ესსე და აშ.

- კურს გლობალიზაციაში სასურველი იყო ამოღებულიყო ფორმულირება „ იცის კავკასიის გეოპოლიტიკისა და ისტორიული ასპექტები“. აღნიშნული კურსის მიზანი არ იყო კავკასიის გეოპოლიტიკისა და ისტორიული ასპექტების შესწავლა, სასურველი იყო კურსში ჩართულიყო ლექცია, თუ როგორ ხსნიდნენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სკოლები გლობალიზაციის ფენომენს. ლექციები 12-13 ეთმობოდა კავკასიის გეოპოლიტიკის ისტორიისა და თანამედროვე ასპექტებს. სასურველი იყო ამ თემების შერწყმა ერთ ლექციად და აქცენტი გადატანილიყო კავკასიის როლზე გლობალურ სივრცეში, ან თუ რა გავლენა ჰქონდა გლობალიზაციის პროცესსს კავკასიის რეგიონზე.

- საკმაოდ ბევრ სილაბუსში გვხდებოდა პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი. სასურველი იყო, რომ სილაბუსში უკეთ ყოფილიყო გამოტანილი, თუ როგორ ხორციელდებოდა ამ მეთოდით სწავლება.

- სასურველი იყო, რომ კურსს პოლიტიკური კონფლიქტების მართვას მოეცვა აგრეთვე პრაქტიკული სავარჯიშოები, შემთხვევის ანალიზი ან კვლევის კომპონენტი. აგრეთვე კურსის ძირითადი ლიტერატურა იყო ქართული, მაშინ, როდესაც არსებობდა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რომელთა ჩართვა კურსში იყო აუცილებელი, როგორც ძირითადი ლიტერატურა.

- კურსში, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ინსტიტუტებსა და პოლიტიკაზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ თემები - მარშალის გეგმა, ევროპა ორპოლუსიან მსოფლიოში, ხავერდოვანი რევოლუციები უნდა ყოფილიყო შევლილი და მეტი დრო დათმობოდა ინსტიტუტებს, მათი ფუნქციონირებისა და პოლიტიკის განხილვას.

- კურსი დიპლომატიური და საკონსული სამართალი ჯობდა შეცვლილიყო კურსით შესავალი დიპლომატიაში, რომელიც დაფარავდა აგრეთვე ზემოაღნიშნულ ორ თემას და იქნებოდა ზოგადი კურსი დიპლომატიის როგორც პროფესიისა და დარგის შესახებ.

- სამართლის კურსებში სასურველი იყო ლიტერატურის დივერსიფიცირება. ძირითადად კურსები ეყრდნობოდა ალექსიძის საერთაშორისო სამართალს, მაშინ როდესაც არსებობდა ბევრი თარგმნილი წყარო. საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და ჰკითხა თუ რამდენად ითვალისწინებდნენ არსებულ რეკომენდაციებს და ასევე ჰქონდათ თუ არა რეალური რესურსი, რომ გამოესწორებინათ აღნიშნული პრობლემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მათ შეძლებისდაგვარად გამოასწორეს დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიური რესურსის თვალსაზრისით განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო ოთხი ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი პროგრამას ჰყავდა ორი.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს აკრედიტაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომაზე 17:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: აგრობიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნეს ექსპერტებმა გოჩა თუთბერიძემ, ია ნაცვლიშვილმა და ციური დურულმა.

- სასურველი იყო რომ რედაქციული და სტილისტური დაზუსტების თვალსაზრისით პროგრამის სახელწოდება „აგრო-ბიზნეს მენეჯმენტი" შეცვლილიყო სახელწოდებით „აგრობიზნესის მენეჯმენტი".
- სასურველი იყო გამრავალფეროვანებულიყო არჩევითი კურსების სახით შეთავაზებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი აგრობიზნესში ოპერაციების მართვის, ლოგისტიკის, ადამიანური რესურსების მართვის მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების რექტორმა, განაცხადა რომ პროგრამის მიზანი იყო პროფესიონალი კადრების მომზადება. რექტორის აზრით, აგრარულ მიმართულებაში შედეგზე გასვლა დასაქმების გარეშე წარმოუდგენელი იყო, სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობასთან არსებული არაერთ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციასთან გააფორმა ხელშეკრულება.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა რომ განემარტათ კონკრეტულად რა საქმიანობას უზრუნველყოფდა კურსდამთავრებული. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფდა აგრომენეჯერების მომზადებას, რისი დეფიციტიც იყო. მაგალითისთვის მოიყვანა სურსათის უვნებლობის სააგენტო, რომელსაც მნიშვნელოვნად დიდი პრობლემა ჰქონდა კადრების მხრივ. მისი თქმით, საქმის მცოდნე მენეჯერების უმრავლესობა იყო ხანდაზმული. ბაზრების მოძიება ხდებოდა ძველი მეთოდებით, კველევის მეთოდებიც ასევე იყო მოძველებული. არ ჰქონდათ გამოცდილება საერთაშორისო მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა გოჩა თუთბერიძე.

- სასურველი იყო, რომ გარკვევით განსაზღვრულიყო კონკრეტული ადამიანების წრე,ვისაც ჰქონდა პროგრამაზე დაშვების უფლება. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების უფლება ჰქონდა ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნდა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან ბიზნესის მართვის გამოცდილება.
- პროგრამაში ასევე უნდა გაწერილიყო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა. კერძოდ რა სახის ცოდნის და უნარების ქონა მოეთხოვებოდათ კანდიდატებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას და აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას რამოდენიმე პროფესორის გარდა ყველა ჰყავდა საერთო. მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ განემარტათ რა განსხვავება იყო ამ ორ პროგრამას შორის და ასევე პროგრამა იყო თუ არა ახალი. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, აგრობიზნესის მენეჯმენტის პროგრამის განხორციელება ექვემდებარებოდა ბაზრის მოთხოვნას, რეალურად არსებობდა დეფიციტი პროფესიონალების და საჭიროება იყო ამ მიმართულებით სტუდენტების აღზრდის. უნივერსიტეტს წინასწარ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებთან, რომლებსაც ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდათ სხვადასხვა მიმართულებით.

ნანა შათაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა თუ რა იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომების მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, დოქტორანტს უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული სტატიები სამეცნიერო ტიპის ჟურნალებში. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, უნივერსიტეტს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და უნივერსიტეტთან ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი, რაც ხელს შეუწყობდა კვლევის კომპონენტის განხორციელებას.

ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ დამატებით განაცხადა, რომ მათ ჰკითხეს კვალიფიციურ გამოცდილ ადამიანებს, თუ რატომ აირჩიეს მიეღოთ მონაწილეობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. პერსონალმა განაცხადა, რომ მათ დაწესებულებამ პროგრამის შექმნის დროს მისცა თავისუფლება, რაც სამწუხაროდ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლებად ხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფინანსები
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნეს ექსპერტებმა ციური დურულმა და ია ნაცვლიშვილმა.

- სასურველი იყო პროგრამის დაშვების წინაპირობაში, მითითებულიყო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი მეოთხე საგანი ან საგნები.
- სასწავლო კურსების - „კორპორაციათა ფინანსების" და „საჯარო ფინანსების" სწავლება პროგრამით გათვალისწინებული იყო, როგორც ქართულად, ასევე ინგლისურ ენაზე (სტუდენტის არჩევით). სასურველი იყო, აღნიშნული შეთავაზება გაწერილიყო არა მხოლოდ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის ნაწილში, სადაც თითოეული პროფესორის გასწვრივ სასწავლო კურსები იყო მითითებული, არამედ, პროგრამის სტრუქტურაშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფინანსების პროგრამის განხორციელების სურვილი გაუჩნდათ ბაზრის კვლევის შესწავლის შედეგად.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი აკრედიტირებული პროგრამა ჰქონდა დაწესებულებას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღესდღეობით რვა აკრედიტირებულ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა დაწესებულებას საჯაროდ ხელმისაწვდომი სტუდენტთა სახელობითი სია და იცოდნენ თუ არა რომ სახელობითი სიის საჯაროდ დადება არ შეიძლებოდა ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციის დროს ექსპერტებმა უთხრეს გაეხსნათ ბაზები გამჭირვალობისთვის. სწორედ ამ მიზნით იყო გახსნილი. საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა, რომ საჯაროდ სტუდენტების სიის გამოქვეყნება არ იყო სწორი და მიზანშეწონილი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა მათემატიკაში განსაზღვრული ოთხი საგანი როგორ ნაწილდებოდა სააათების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ

სალექციო საათობრივი ბადე მოიცავდა სამ საათს კვირაში. ნანა შათაშვილმა საპასუხოდ განაცხადა რომ სამი საათი არ იყო საკმარისი სრულფასოვანი ცოდნის მისაღებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ აკადემიური პერსონალი შედგებოდა 15 ადგილობრივი და 3 მოწვეული პროფესორისგან. დაწესებულება პროგრამაზე გეგმავდა სამოც სტუდენტამდე მიღებას.

ექსპერტმა ციური დურულმა დამატებით განაცხადა, რომ პროგრამა იყო კარგად გაწერილი ფინანსური დისციპლინების კუთხით და დაწესებულებას კვალიფიციური აკადემიური პერსონალი ჰყავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფინანსები
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა ციური დურულმა.

- სასურველი იყო პროგრამის არჩევითი კურსების მეტად გამრავალფეროვნების მიზნით, არჩევის ბლოკს დამატებოდა სასწავლო კურსები, მაგ: „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება" „საფინანსო სამართალი" და/ან ფინანსური ანალიზი.
- სასურველი იყო სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად მითითებულიყო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, ნაცვლად განსაზღვრული კრედიტების რაოდენობისა.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა ექსპერტებს აკადემიური პერსონალის შესახებ ჰკითხა სტანდარტის მიხედვით საკმარისი იყო თუ არა პერსონალის რაოდენობა, ციური დურულის განცხადებით, პროგრამა ხორციელდებოდა 11 პერსონალით.

ექსპერტების განცხადებით, მატერიალური თვალსაზრისით საკმაოდ კარგი სიტუაცია იყო დაწესებულებაში, კერძოდ სასწავლო უნივერსიტეტი ყველა საჭირო ინვენტარით იყო აღჭურვილი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილის განცხადებით, ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხი გაიცემოდა მაშინ როდესაც ფინანსების კუთხით პროგრამაში არ იყო საკმარისი საგნები მოცემული. ნანა შათაშვილის მოსაზრების, მისთვის ეს იყო მიუღებელი. ასევე მიუღებელი იყო, თუ რატომ იყო სავალდებულო საგნად გათვალისწინებული პროფესიული უცხო ენა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: მაგდა მაღრაძემ, თუთა ნარმანიამ, თამარ ბრეგვაძემ, რევაზ სოლომონიამ, ნანა შათაშვილმა.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:50 საათზე საბჭოს სხდომა დასრულდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
თუთა ნარმანია